

დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ თბილისში აქცია იმართება

netgazeti.ge/news/259809

მიმა მეფარიშვილი



დღეს, 14 მარტს თავისუფლების მოედანზე დიდი ჰესების მშენებლობის საწინააღმდეგოდ აქცია იმართება.

აქციის მონაწილეებმა შეკრება “აზიის განვითარებისა” ბანკის ოფისთან 13:00 საათიდან დაიწყეს.

აქციის , “არა საქართველოს დატბორვას! არა ჰესომანიას!” მონაწილეები აპირებენ გამართონ მსვლელობა ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის შენობისკენ რუსთაველის გამზირზე.

აქციის მონაწილეების განცხადებით, აპროტესტებენ სვანეთში, რაჭაში იმ ჰესების მშენებლობას, რომლებიც გარემოსა და ადგილობრივ მცხოვრებლებზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს.

თორნიკე გოშვანი, რომელიც ამ აქციაზე მონაწილეობისთვის ჭუბერიდან ჩამოვიდა, ამბობს, რომ ნენსკრა ჰესთან დაკავშირებით ადგილობრივებს არაფერს უთანხმებენ.

“ყველაფერი ხდება შეუთანხმებლად. არაფერს გვითანხმებენ მოსახლეობას. შეგვიძლია ჩვენ თითონ გაფაუნცივით ჩვენი ბედი და არ ავიშნოთ თავზე ისეთი სახიფათო რალაც, რაც არის ნენსკრა ჰესი”, – ამბობს თორნიკე გოშვანი.

მისი თქმით, ნენსკრა ჰესის აშენება შეცვლის კლიმატს, ასევე ჰესი შენდება სეისმურად აქტიურ ზონაში. იგი ნენსკარას, ხუდონის და სხვა დიდი ჰესების აშენების წინააღმდეგია.

რამაზ მეტრეველმა ნეტგაზეთს უთხრა, რომ იგი ეწინააღმდეგება ონში, მდინარე რიონზე ჰესის მშენებლობას.

“12 კმ გვირაბი უნდა გაითხაროს ჰესის მშენებლობისთვის. ნახევარი ზემო რაჭის დატბორვის საშიშროება დგას”, – ამბობს თამაზ მეტრეველი.

მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ რიონს ახასიათებს წყალმოვარდნები და გვირაბში გაყვანილმა მდინარემ შესაძლოა გამოანგრის გვირაბი და სოფლები დატბოროს.

აქციის ერთერთმა ორგანიზატორმა მწვანე ალტერნატივას წევრმა დათო ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ ისინი ევროპის რეკონსტრუქციის ბანში და აზიის განვითარების ბანკში დატოვებენ მიმართვას და სვანეთის თემების დეკლარაციას დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ.

“დღეს არის მდინარეთა დაცვის საერთაშორისო დღე, აქედან გამომდინარე ყველა რეგიონის წარმომადგენლებმა, სადაც მწვავედ დგას ჰიდროენერგეტიკული საკითხები, გადაწყვიტეს რომ შეკრებილიყვნენ”, – განაცხადა დათო ჭიპაშვილმა.

ჭიპაშვილის თქმით, აქცია ეხება ზემო სვანეთში ნენსკრას, ხუდონის, 50 ჰიდროელექტროსადგურის, ლეჩხუმში ნამახვან ჰესის, რაჭაში – ონის კასკადის მშენებლობას.

ჭიპაშვილის თქმით, აქციები გაიმართება ქუთაისში, მესტიაში, ჭუბერში.